

ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის  
N15–N19 ოთახებზე, მოქალაქე დარეჯან მანაგაძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N15–N19 ოთახებში მცხოვრები მოქალაქე დარეჯან მანაგაძის განცხადება /2013 წლის 26.03 Nმ–3645/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N15–N19 ოთახები/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N15–N19 ოთახებზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე დარეჯან მანაგაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N15–N19 ოთახებზე /საერთო ფართობი 23,00 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 23,00 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 3,65 კვ.მ, საერთო სარგებლობის საზაფხულო ფართობი 3,00 კვ.მ./ მოქალაქე დარეჯან მანაგაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი